

ჰარკნესის მეთოდი ინგლისური ენის კითხვის უნარის სწავლებაში

DOI: 10.52340/erp.2024.05.23

აბსტრაქტი

წარმოდგენილი სტატია იკვლევს „ჰარკნესის“ ინოვაციურ მეთოდს როგორც დინამიკურ მიდგომას ინგლისური ენის კითხვის უნარის სწავლებაში. ექსპერტის აკადემიის პროგრესული საგანმანათლებლო ფილოსოფიიდან მომდინარე ჰარკნესის მეთოდი გულისხმობს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას მრგვალი მაგიდის დისკუსიების მეშვეობით, რომელიც ქმნის გარემოს, სადაც სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი ტექსტების ანალიზსა და დისკუსიაში.

ჰარკნესის მეთოდი თავდაპირველად განვითარდა ფილიპ ეგზეტერის აკადემიაში 1930-იან წლებში. ის წარმოადგენს სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომას სწავლების პროცესში და ყურადღებას ამახვილებს თანამშრომლობით, დისკუსიაზე დაფუძნებულ სწავლებაზე. მეთოდის ავტორია ედვარდ ჰარკნესი, დემოკრატიული სწავლების მხარდამჭერი.

სწავლების ტრადიციული მიდგომისაგან განსხვავებით, რომლებიც მასწავლებლის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს, ჰარკნესის მიდგომა ხელს უწყობს კრიტიკულ აზროვნებას, თანამშრომლობით ანალიზს და ღრმა გააზრებას, სტუდენტებს აყენებს დისკუსიის ლიდერებისა და მონაწილეების როლში.

მოცემული კვლევა სწავლობს ჰარკნესის მეთოდის ეფექტურობას ინგლისური ენის კითხვის უნარების გაუმჯობესებაში, ამტკიცებს მის პროდუქტიულობას სტუდენტებში ინტერპრეტაციის, კრიტიკისა და ლიტერატურის ანალიზის უნარების გამომუშავებაში. მონაცემების ხარისხობრივი დამუშავების შედეგად, სტატია აჩვენებს, თუ როგორ აუმჯობესებს ეს პედაგოგიური სტრატეგია არა მხოლოდ კითხვის, არამედ კომუნიკაციისა და ანალიტიკური უნარებსაც.

სტატიის დასკვნაში აღნიშნულია, რომ ჰარკნესის მეთოდი გვთავაზობს ტრადიციული კითხვის სწავლების პერსპექტიულ ალტერნატივას, რაც მას ღირებულ

ინსტრუმენტად აქცევს მასწავლებლებისთვის, რომელთათვის ძირითადი მიზანია ინტერაქტიული სწავლება და რეფლექციური საკლასო გამოცდილების შექმნა.

საკვანძო სიტყვები: ჰარკნესის მეთოდი, კითხვის სწავლება, ინტერაქტიული, რეფლექციური.

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში, როდესაც აქტიურად ვემზადებით მეხუთე ინდუსტრიული რევოლუციისთვის, განათლების როლი მომავლის ფორმირებაში და ახალი ტიპის გლობალური საზოგადოების შექმნაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. სწორედ განათლებასაა ის საფუძველი, რომელიც უნდა მოამზადოს ახალგაზრდები დემოკრატიის კულტურის დამკვიდრებაში აქტიური მონაწილეობისათვის და კულტურულად მრავალფეროვან საზოგადოებებში ჰარმონიული თანაცხოვრებისათვის (World Bank, 2020).

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმისა (World Economic Forum, 2020) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD, 2018) პარადიგმების მიხედვით, საგანმანათლებლო სისტემამ უნდა აღჭურვოს სტუდენტები აუცილებელი უნარ-ჩვევებითა და კომპეტენციებით, რათა მათ შეძლონ მუდმივად ცვალებად გარემოში ნავიგაცია და წარმატებით მუშაობა. აქცენტი კეთდება ისეთ კრიტიკულ უნარებზე, როგორცაა კრიტიკული აზროვნება, პრობლემების გადაჭრა, თანამშრომლობა, ინოვაცია, ციფრული წიგნიერება და ადაპტაცია (OECD, 2018).

ამ უნარების წარმატებით განვითარებისათვის საჭიროა სტრატეგიული მიდგომა სწავლებასა და სწავლაში. ეს მოიცავს პედაგოგიური მეთოდების განსაზღვრასა და დანერგვას, რომლებიც ეფექტურად უზრუნველყოფენ ამ რთული კომპეტენციების განვითარებას (Brookfield, 2017). ასევე, სასწავლო პროცესში ექსპერიმენტული სწავლების შესაძლებლობების ინტეგრაცია, ზრდის მსოფლმხედველობის წახალისებას. ამავდროულად, ტექნოლოგიით გამდიდრებული სწავლების გამოყენება უფრო ამდიდრებს საგანმანათლებლო გამოცდილებას და უკეთ ამზადებს სტუდენტებს მომავლის გამოწვევებისა და შესაძლებლობებისთვის (Kolb, 2014).

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ პედაგოგებმა მუდმივად მოარგონ თავიანთი მეთოდოლოგიები ცვალებად სამყაროს მოთხოვნებს, რათა სტუდენტები არა მხოლოდ ამჟამინდელი მდგომარეობისთვის იყვნენ მზად, არამედ შეეძლოთ მომავალში ლიდერობა და ინოვაციების დანერგვა (Schleicher, 2018).

ჩვენც ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში ერთ-ერთი აქტუალური თემა მოსწავლეზე ორიენტირებული განათლებაა, რაც უპირველესად ნიშნავს იმას, რომ ვასწავლოთ ის, რაც ბავშვს სჭირდება და არა ის, რაც ვიცით, რაც წლების მანძილზე დაგვიგროვდა (Moralishvili, Kuprashvili, Akhvlediani 2020).

ლიტერატურის მიმოხილვა

როგორ შეიძლება მოვახერხოთ კითხვის სწავლების ტრანსფორმირება ჰარკნესის მეთოდით?

„ინოვაციური პედაგოგიკა 2021“ (Innovative Pedagogy 2021) იკვლევს სწავლა-სწავლების, შეფასების ინოვაციურ კონცეფციებს და გვთავაზობს მათი გამოყენების და დანერგვის გზებს. მისი ერთ-ერთი საკვანძო სტრატეგია არის მრავალფეროვანი სასწავლო გარემოს შექმნა ისეთი მეთოდებით, როგორებიცაა შებრუნებული სწავლება, ვირტუალური რეალობა, 3D განზომილება და სხვა. სწორედ ასეთი მეთოდად მიგვაჩნია ჰარკნესი (Harkness) ინგლისური ენის კითხვის უნარის სწავლებაში.

ჰარკნესის მეთოდი, თავდაპირველად განვითარებული ფილიპ ეგზეტერის აკადემიაში 1930-იან წლებში, წარმოადგენს პიონერულ, სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომას განათლებაში, რომელიც ყურადღებას ამახვილებს თანამშრომლობაზე დაფუძნებულ და დისკუსიაზე ორიენტირებულ სწავლებაზე. ამ მეთოდის ავტორია ედვარდ ჰარკნესი, რომელიც დემოკრატიული განათლების მხარდამჭერი იყო და მიაჩნდა, რომ სწავლება უნდა იყოს ინკლუზიური და მონაწილეობაზე დაფუძნებული. ჰარკნესის მეთოდი გულისხმობს სტუდენტების ოვალურ მაგიდასთან დასხდომას, დიალოგში ჩართვას კრიტიკული აზროვნების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს შესასწავლი საკითხის სიღრმისეულ გაგებას, თანატოლების შორის ინტერაქციას საერთო საკითხთან დაკავშირებით (Exeter, 2020).

ტონი ვაგნერი (2012) თავის წიგნში "ინოვაციების შექმნა: ახალგაზრდების შექმნა, რომლებიც შეცვლიან სამყაროს", ხაზს უსვამს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლის მიდგომების მნიშვნელობას, როგორცაა ჰარკნესის მეთოდი კრეატიულობის, თანამშრომლობისა და წარმატებისთვის აუცილებელი კრიტიკული აზროვნების უნარების გასაძლიერებლად 21-ე საუკუნეში. ჯეი მაკტიგი და გრანტ უიგინსი (2005) მათ მთავარ ნაშრომში "გააზრება დიზაინით", ხაზს უსვამენ გამოკითხვაზე დაფუძნებული სწავლის მიდგომების (inquiry-based learning approaches) მნიშვნელობას, როგორცაა ჰარკნესის მეთოდი, ღრმა გაგებისა და ცოდნის გადაცემის ხელშეწყობაში. ისინი ამტკიცებენ, რომ სტუდენტების ჩართვა შინაარსობრივ დისკუსიებში ავითარებს უმაღლესი დონის აზროვნების უნარს და ინფორმაციის ხანგრძლივ შენარჩუნებას. ნენსი კარლსონ-პეიჯი თავის წიგნში „ბავშვობის დაბრუნება: დადასტურებული საგზაო რუკა თავდაჯერებული, კრეატიული, თანამგრძობი ბავშვების აღზრდისთვის“ (2009), მხარს უჭერს სტუდენტზე ორიენტირებულ პედაგოგიკას, მათ შორის ჰარკნესის მეთოდს, როგორც ბავშვის ჰოლისტიკური განვითარებისა და კარგად ყოფნის ხელშეწყობის საშუალებას. ის ამტკიცებს, რომ კლასში აზრიანი დიალოგისა და თანამშრომლობის ხელშეწყობა აუცილებელია სტუდენტების სოციალურ-ემოციური უნარებისა და თანამგრძობის გასავითარებლად.

კვლევის ანალიზი

ჰარკნესის მეთოდის გამოყენება ანალიზური კითხვის სწავლებისას.

ჰარკნესის მეთოდი გამოვიყენეთ ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის მე-3 კურსის სტუდენტებთან 2024 წლის აპრილი-მაისის პერიოდში ანალიზური კითხვის სწავლებისას. ჯგუფში სტუდენტების რაოდენობა იყო 14. საექსპერიმენტოდ შევარჩიეთ არტურო ვივანტეს ნოველა "კანკანი".

მეთოდის გამოყენების მთავარი მიზანი იყო არტურო ვივანტეს რომანის Can-Can-ის განხილვისას სტუდენტების ჩართულობის, გაგების და კრიტიკული აზროვნების უნარის შეფასება.

ჰარკნესის მეთოდი შერჩევა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ მისი გამოყენებისას დისკუსია იმართება სტუდენტების ხელმძღვანელობით და აქცენტი კეთდება

თანამშრომლობით სწავლაზე. ის უზიდავს სტუდენტებს სიღრმისეულად ჩაწვდნენ ტექსტს, ერთმანეთის ნააზრევს და ქმნის გარემოს, სადაც სტუდენტები თავისუფლად გამოხატავენ თავიანთ ინტერპრეტაციებსა და იდეებს.

გამოკითხვა მოიცავდა როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისობრივ კითხვებს სტუდენტების გამოცდილების ყოვლისმომცველი სურათის მისაღებად. კითხვები შემუშავებული იყო სხვადასხვა ასპექტის გასაზომად, როგორცაა მონაწილეობა, ტექსტის გაგება, კრიტიკულ დისკუსიაში ჩართვის უნარი და სასწავლო პროცესით საერთო კმაყოფილება.

სტუდენტებს წინასწარ გადაეცათ მასალა, რომელიც მოიცავდა მოკლე შესავალს ჰარკნესის მეთოდის შესახებ, დისკუსიის სახელმძღვანელო მითითებებს და ნოველასთან დაკავშირებული კითხვების ჩამონათვალს აზროვნებისა და დისკუსიის გასააქტიურებლად. მასალა ასევე მოიცავდა ეფექტური მონაწილეობის შესაძლო გზებს, მათ შორის, დისკუსიაში მონაწილე მეგობრის მოსაზრებაზე სწორი და ეთიკური კომენტარის გაკეთების და გააზრებული კითხვების დასმის შესაძლებლობას.

დისკუსიის სახელმძღვანელო პრინციპები:

- მოემზადეთ: ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი და მოდით სემინარზე ჩანაწერებით ძირითადი თემების, კითხვებისა და დაკვირვებების შესახებ.
- მოუსმინეთ ყურადღებით: პატივისცემით მოუსმინეთ მეგობრებს და გაითვალისწინეთ მათი მოსაზრებები/თვალთახედვა, სანამ უპასუხებთ.
- დაეყრდენით მასალას/მოსაზრებებს: გამოიყენეთ სხვების კომენტარები, როგორც პლაცდარმი შემდგომი განხილვისთვის, ვიდრე უბრალოდ დაეთანხმოთ ან არ დაეთანხმოთ.

შემდეგი ეტაპი იყო სტუდენტების მიერ დამოუკიდებლად ნოველის წაკითხვა და ჩანაწერების მომზადება საკვანძო თემებზე, პერსონაჟების განვითარებასა და სტილისტურ ელემენტებზე. ეს ეტაპი მნიშვნელოვანია იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა მონაწილეს შეეძლოს მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს დისკუსიებში.


მოთხოვნები დისკუსიისათვის:

- როგორ ფიქრობთ, რა არის Can-Can-ის ცენტრალური თემა? როგორ გადმოსცემს ავტორი ამ თემას თხრობის საშუალებით?
- იმსჯელეთ მოთხრობაში პერსონაჟების განვითარებაზე. როგორ განაპირობებს პერსონაჟების ქმედებები და მოტივაცია სიუჟეტს?
- იპოვეთ სიმბოლიზმის გამოყენების შემთხვევები ნოველაში. როგორ უწყობს ხელს სიმბოლიზმი ტექსტის საერთო აზრის გაგებას?

ჰარკნესის მეთოდის იმპლემენტაცია საკლასო ოთახში განხორციელდა სტუდენტების წრეში მოწყობით მრგვალი მაგიდის ირგვლივ ღია დისკუსიის გასაადვილებლად. პროფესორის როლი იყო მინიმალური, საჭიროების შემთხვევაში მხოლოდ საუბრის სწორ გზაზე წარმართვის მიზნით ჩართვა. დისკუსიები იყო სტუდენტზე ორიენტირებული, რაც მათ საშუალებას აძლევდა წარემართათ საუბარი და სიღრმისეულად განეხილათ თემები.

ლექტორს აქვს მხოლოდ მედიატორის როლი, უსმენს სტუდენტთა მოსაზრებებს და ჰარკნესის მეთოდით ახდენს მათ შეფასებას შემდეგი კრიტერიუმებით:

- ? სვამს კითხვებს
- + იშველიებს ტექსტს მსჯელობისას
- ! ამატებს მოსაზრებას დისკუსიის განვითარებისათვის
- ≥ ავითარებს საუბრის ახალ ხაზს
- C ქმნის კონსენსუსს
- ∞ ამყარებს აზრობრივ კავშირებს



დისკუსიის შემდეგ, სტუდენტებმა შეავსენ მოკლე უკუკავშირის ფორმა, რომელიც მოიცავდა კითხვებს ჰარკნესის მეთოდის გამოცდილების, მათი ჩართულობის დონისა და დისკუსიის დროს ნებისმიერი სირთულის შესახებ.

პირადი და საერთო ჩართულობა	დამწყები	განვითარებადი	გამოცდილი	დაოსტატებული
დიალოგში მონაწილეობა	მე მჭირდება დახმარება, რათა მონაწილეობა მივიღო დიალოგში	მე შემძლია მონაწილეობა მივიღო დიალოგში	მე შემძლია ეფექტიანი მონაწილეობა მივიღო დიალოგში	მე შემძლია ლიდერის როლის აღება დიალოგის გადრმავება
		მე ვაკონროლებდი მონაწილეობის დროს, არ ვაწყვეტინებდი სხვება და არ ვსაუბრობდი ბევრს	მე შევძელი დიალოგის გადრმავება საკონტროლო კითხვების დასმით, პატივისხემით არ დავეთანხმე საწიააღმდეგო აზრს	მე მოვახდინე დიალოგის მოსაზრებების სინთეზირება, როცა წარმოიშვა სირთულე მოვახერხე ახალი ინფორმაციის მიწოდება და დიალოგის განახლება

ძირითადი მიგნებები

გაზრდილი ჩართულობა: სტუდენტების მნიშვნელოვანმა რაოდენობამ (86%) აღნიშნა, რომ თავს უფრო მეტად გრძნობდა ჩართულობის დროს ჰარკნესის დისკუსიების დროს ტრადიციულ ლექციებზე დაფუძნებულ სესიებთან შედარებით. მათ მოეწონათ შესაძლებლობა გამოხატონ თავიანთი აზრები თავისუფლად და მოუსმინონ სხვადასხვა პერსპექტივას.

გამღიერებული კრიტიკული აზროვნება: სტუდენტების 79% ფიქრობდა, რომ მეთოდი აუმჯობესებდა მათ კრიტიკული აზროვნების უნარებს. მათ აღნიშნეს, რომ ღია ფორმატმა ხელი შეუწყო მათ განეხილათ მრავალი თვალსაზრისი და გაედრმავებინათ ტექსტის გაგება.

არსებული გამოწვევები: ზოგიერთმა სტუდენტმა (21%) აღნიშნა თავდაპირველი დისკომფორტი დისკუსიების თვითმართული ხასიათის გამო, რაც მიუთითებს პროცესის დასაწყისში უფრო სტრუქტურირებული ხელმძღვანელობის საჭიროებაზე. აღნიშნული გვიჩვენებს იმას, რომ დამატებითი მომზადება ან სკაფოლდინგი შეიძლება იყოს საჭირო, რათა დაეხმარათ სტუდენტებს გაითავისონ ჰარკნესის მეთოდი.

ჩვენი მოსაზრებით, კარგი იქნება თუ სტუდენტებს შევთავაზებთ მეტ მოსამზადებელ აქტივობებს, როგორცაა მინი დებატები ან როლური თამაში, რათა მათ ჩამოვუყალიბოთ დისკუსიების გაძლოლის უნარები.

დასკვნა

კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ ჰარკნესის მეთოდი ეფექტური ინსტრუმენტია ანალიტიკურ კითხვაში ჩართულობისა და კრიტიკული აზროვნების გასაძლიერებლად. სტუდენტების პასუხებით შეიძლება ვივარაუდოთ, მიუხედავად იმისა, რომ მეთოდი მოითხოვს გარკვეულ კორექტირებას, განსაკუთრებით მათთვის, ვინც არ იცნობს მის ფორმატს, სტუდენტის ავტონომიის გაზრდის და ღრმა ტექსტური ანალიზის სარგებელი მნიშვნელოვანია.

ამრიგად, საჭიროა, რომ დისკუსიების გასაადვილებლად ლექციები დავიწყოთ უფრო სტრუქტურირებული აქტივობებით, რომლებიც თანდათან გადინაცვლებს სრული ჰარკნესის დისკუსიებისკენ.

აუცილებელია მრავალფეროვანი მოსამზადებელი სავარჯიშოების ინტეგრირება, როგორცაა ჯგუფური ანალიზი და თანატოლის მიერ შეფასება, რაც შეიძლება დაეხმაროს სტუდენტებს თავდაჯერებულობის ჩამოყალიბებაში და მათი ანალიტიკური უნარების გაუმჯობესებაში.

რეგულარული, კონსტრუქციული უკუკავშირის შეთავაზება სტუდენტების დისკუსიის ტექნიკასა და ანალიტიკურ შეხედულებებზე დაეხმარება მათ დახვეწონ თავიანთი უნარები და ისწრაფოდენ მუდმივი გაუმჯობესებისაკენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Brookfield, S. D. (2017). *Becoming a Critically Reflective Teacher*. Jossey-Bass.
- Carlsson-Paige Nancy, (2009). *Taking Back Childhood*, 1st edition (978-0452290099) Published by Plume.
- Exeter, P. (2020). *The Harkness Method: A Student-Centered Approach to Education*. Phillips Exeter Academy.
- Kolb, D. A. (2014). *Experiential Learning: Experience as the Source of Learning and Development*. Pearson Education.
- Kukulska-Hulme, A., Bossu, C., Coughlan, T., Ferguson, R., FitzGerald, E., Gaved, M., Herodotou, C., Rienties, B., Sargent, J., Scanlon, E., Tang, J., Wang, Q., Whitelock, D., Zhang, S. (2021). *Innovating Pedagogy 2021: Open University Innovation Report 9*. Milton Keynes: The Open University
- ჩამოტვირთულია: *Innovating Pedagogy | Open University Innovation Reports*
- Moralishvili S. Kuprashvili L. & Akhvlediani, M. (2020). Distant Teaching and Learning for the Foreseeable Future: Georgian Universities' Students and Professors Perspective. *European Journal of Social Science Education and Research*, 7(2), 78–87. <https://doi.org/10.26417/895bbg57k>
- Schleicher, A. (2018). *World Class: How to Build a 21st-Century School System*. OECD Publishing.
- How to develop independent student discussion
<https://voice21.org/how-to-develop-independent-student-discussion/>
- Marcus, S. (Ed.). (2006). *A world of fiction: Twenty timeless short stories* (2nd ed.). Pearson Longman.
- Wagner, T. (2012). *Creating innovators: The making of young people who will change the world*. Scribner.

Wiggins, G., & McTighe, J. (2005). *Understanding by design* (Expanded 2nd ed.). Association for Supervision and Curriculum Development (ASCD).

Sophio Moralishvili

Shota Meskhia State Teaching University of Zugdidi

Isolda Chkhobadze

Shota Meskhia State Teaching University of Zugdidi

The Harkness Method in Teaching English Reading Skills

Abstract

The presented article explores the innovative Harkness Method as a dynamic approach to teaching English reading skills. Originating from the progressive educational philosophy of Exeter Academy, the Harkness Method involves student-centered teaching through round-table discussions, creating an environment where students are actively engaged in text analysis and discussion.

The Harkness Method was initially developed at Phillips Exeter Academy in the 1930s. It represents a student-centered approach to the learning process, focusing on collaborative, discussion-based teaching. The method was authored by Edward Harkness, a supporter of democratic teaching. Unlike traditional teaching approaches, which are teacher-led, the Harkness Method promotes critical thinking, collaborative analysis, and deep understanding, placing students in the roles of discussion leaders and participants.

This study examines the effectiveness of the Harkness Method in improving English reading skills, asserting its productivity in developing students' interpretation, critique, and literature analysis abilities. Through qualitative data analysis, the article demonstrates how this pedagogical strategy enhances not only reading but also communication and analytical skills.

The conclusion of the article notes that the Harkness Method offers a promising alternative to traditional reading instruction, making it a valuable tool for teachers whose primary goal is to create interactive teaching and reflective classroom experiences.

Keywords: Harkness Method, reading instruction, interactive, reflective.